ციტრუსზე სუბსიდიების გაცემა

2014 წელს სტანდარტულ და არასტანდარტულ ციტრუსზე სუბსიდიის ანაზღაურებაზე შემოსული იყო 1 402 განცხადება, აქედან სუბსიდია გაიცა 1 379 მოქალაქეზე ხოლო 23 მოქალაქეზე არ გაცემულა.

2014 წელს ციტრუსის ნაყოფის რეალიზაცის ხელშეწყობისათვის მოქალაქეებზე ანაზღაურებული იქნა 1 182 673 ლარი. აქედან:

სტანდარტულ ციტრუსზე 15 თეთრის ოდენობით - 1189 მოქალაქეზე.

არასტანდარტულ ციტრუსზე 10 თეთრის ოდენობით - 190 მოქალაქეზე.

არასტანდარტულ ციტრუსზე სუბსიდია გაცემული იქნა 190 მოქალაქეზე (1 059 110 კგ. X 0.10თ. = 105 911 ლარის ოდენობით).

სტანდარტული ციტრუსზე სუბსიდია გაცემული იქნა 1 189 მოქალაქეზე (7 178 419კგ. X 0.15თ. = 1 076 762 ლარის ოდენობით), ხოლო 23 მოქალაქეზე (58 490კგ. X 0.15=8773 ლარი) ანაზღაურება არ განხორციელდა, რადგანაც შპს “სალხინეთის” მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეიცავდა უზუსტობებს. კერძოდ, პირველად წარმოდგენილ დოკუმენტში საბაჟო დეკლარაციების ჯამზე მეტი იყო შესყიდვის აქტების ჯამი 10 810 კგ.-ით (ანუ 71 900-61 090=10 810კგ). ,,შპს. სალხინეთს" არაერთგზის მიემართა წერილობითი მოთხოვნით წარმოედგინა აქტების სწორი ვარიანტი, რათა დროულად მომხდარიყო ანაზღაურების გაცემა მოქალაქეებზე, მაგრამ შპს „სალხინეთმა“ ვერ უზრუნველყო გასწორებული ვარიანტის კომისიის მუშაობის პერიოდის ბოლომდე წარმოდგენა (დოკუმენტაციის ხელმეორედ წარმოდგენა მოხდა დაგვიანებით, როდესაც უკვე კომისიას შეწყვეტილი ჰქონდა აღნიშნულ საკითხზე მუშაობა და სეზონი დახურულად იყო გამოაცხადებული). გარდა ამისა, მეორედ წარმოდგენილ ცხრილში შ.პ.ს. „სალხინეთის“ მიერ სიიდან ამოღებული იყო 4 მოქალაქე (მალხაზ ზაქარაძე, სულიკო მიქელაძე, თენგიზ ბიბინეიშვილი, თენგიზ მჟავანაძე), ასანაზღაურებელი ნაყოფის წონა და თანხა კი შეცვლილი (58 490 კგ.=8 773,5 ლარი).

ერთმა მოქალაქემ, ემზარ ლორთქიფანიძემ სასამართლოს მიმართა. სასამართლო გადაწყვეტილებით მას აუნაზღაურდა 540 ლარი. სასამართლოსთის მიმართვის სხვა პრეცენდენტი არ დაფიქსირებულა.

რადგანაც სეზონი დახურულად იყო გამოცხადებული (2014 წლის 27ივნისი ოქმი N13), სწორედ ზემოთ აღნიშნული გარემოებების გამო ვერ მოხეხდა ამ 23 (დაკორექტირებულ სიაში 19 მოქალაქე) მოქალაქეზე თანხის ჩარიცხვა. შესაბამისად, ოპონენტების ბრალდება, თითქოს კომპენსაციის გაცემა ვერ მოხდა იმის გამო, რომ გამგეობამ თანხა უკან, ბიუჯეტში დააბრუნა, უსაფუძვლოა.